ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7710253

ნომერი: AR11117213

თარიღი : 13.11.2025

გაცემის თარიღი : 20.11.2025

გაცნობის თარიღი : 21.11.2025

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ქერჩის , N 6 , (ნაკვეთი N29/55);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნიკოლოზ კილასონია პ/ნ 01009008694
- თბილისი ნ.ყიფშიძის ქ. N 10 ბ. 1

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2025 წლის 13 ნოემბერს №AR11117213 განცხადებით მომართა ნიკოლოზ კილასონიამ და მოთხოვა სამსახურის 2025 წლის 11 სექტემბრის №7624023 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად,

შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2025 წლის 11 სექტემბრის №7624023 ბრძანებით შეთანხმდა №01.11.05.029.531 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. სამსახურის 2025 წლის 12 სექტემბრის №7625599 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2025 წლის 11 სექტემბრის №7624023 ბრძანებაში მშენებლობის ვადის მითითების ნაწილში. კერძოდ: შენებლობის ვადა განისაზღვრა 2025 წლის 11 სექტემბრიდან 2031 წლის 11 სექტემბრის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის 2025 წლის 11 სექტემბრის №7624023 ბრძანებით შეთანხმებულ მშენებლობის ორგანიზების პროექტში, გენ-გეგმაზე სამშენებლო ღობის სიმაღლე არასწორად არის მითითებული. კერძოდ, განმარტავს, რომ 2 მეტრის ნაცვლად მითითებული უნდა იყოს 4.5 მეტრი. შესაბამისად. ითხოვს წარმოდგენილი გენ-გეგმის ჩანაცვლებას.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ სამსახურის 2025 წლის 11 სექტემბრის №7624023 ბრძანებით შეთანხმებულ მშენებლობის ორგანიზების პროექტში, (მრავალფუნქციური კომპლექსისი (ბლოკები - A, B, C) სამშენებლო გენ-გეგმაზე, სამშენებლო ღობის სიმაღლედ მითითებულია 2 მეტრი. გარდა აღნიშნულისა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2025 წლის 17 თებერვლის №16-01250373494 გადაწყვეტილებით შეთანხმებულ საგზაო მოძრაობის სქემაზე სამშენებლო ღობის სიმაღლედ ასევე, მითითებულია 2 მეტრი. შესაბამისად, სამსახურის 2025 წლის 11 სექტემბრის №7624023 ბრძანებით შეთანხმებულ მშენებლობის ორგანიზების პროექტში, (მრავალფუნქციური კომპლექსისი (ბლოკები - A, B, C) სამშენებლო გენ-გეგმაზე, არ ფიქსირდება ტექნიკური შეცდომა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურის 2025 წლის 11 სექტემბრის №7624023 ბრძანებით შეთანხმებულ მშენებლობის ორგანიზების პროექტში, (მრავალფუნქციური კომპლექსისი (ბლოკები - A, B, C) სამშენებლო გენ-გეგმაზე, ტექნიკური შეცდომა არ ფიქსირდება. შესაბამისად, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა სამსახურის 2025 წლის 11 სექტემბრის №7624023 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებასთან დაკავშირებით.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.